ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

30 (9921) • 25 ivlisi • 2011 w.

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

ალიონი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 20 თეთრი

ფოტორეპორტიორები გაათავისუფლეს

კვირის მთავარი მოვლენა, რომელიც საზოგადოების დიდი ინტერესისა და პროტესტის ფონზე ვითარდებოდა, ფოტორეპორტიორების საქმეს უკავშირდება. მართალია, სისხლის სამართლის კოდექსის 314-ე მუხლის მიხედვით დაკავებულები ჯაშუსებად ცნო, მაგრამ თბილისის საქალაქო სასამართლომ ოთხივე მათგანი 22 ივლისს პირდაპირ სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა. 22 ივლისის სხდომაზე სასამართლომ დააკმაყოფილა საქართველოს პროკურატურის შუადგომლობა „ზურაბ ქურციკიძის, გიორგი აბდალაძის, ირაკლი და ნათია გედენიძეების მიმართ, საქმის არსებითი განხილვის გარეშე, პირობითი მსჯავრის გამოყენების თაობაზე“. სასამართლოს გადაწყვეტილებით ზურაბ ქურციკიძეს 3-წლიანი, გიორგი აბდალაძეს და ირაკლი გედენიძეს 4-წლიანი, ხოლო ნათია გედენიძეს 1,5-წლიანი პირობითი სასჯელი შეეფარდათ.

პირობითი სასჯელის ვადებში მათ ქვეყნის დატოვების უფლება არ აქვთ.

დაკავებულმა ფოტორეპორტიორებმა საპროცესო შეთანხმების გაფორმება 21 ივლისს მოითხოვეს. მათ ამგვარ ნაბიჯს კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ადვოკატების ერთი ნაწილი.

– „მათ შეეშინდათ საზოგადოებას არ ენახა ღია სასამართლო სხდომაზე ის, თუ რა მტკიცებულებებს ეყრდნობოდა ეს ხმაურიანი საქმე, რომელსაც საერთაშორისო მონიტორინგი ახლავს დღემდე, რა არგუმენტებით ცდილობდა ხელისუფლება ჯაშუშობის დამტკიცებას და რის თქმას აპირებდა თუნდაც გიორგი აბდალაძე სასამართლოს სხდომაზე, როდესაც ამბობდა, რომ ყველაფერს მოყვებოდა მაშინ, როდესაც საქმის არსებითი განხილვა შედგებოდა.“ – აცხადებს ეკა ბესელია.

ამგვარი კრიტიკული განცხადებების მიუხედავად, საქართველოს პროკურატურა იტყობინება, რომ საპროცესო შეთანხმების თაობაზე სასამართლოსთან მის შუადგომლობას საფუძვლად დაედო „ბრალდებულების მხრიდან გამოძიებასთან თანამშრომლობის განსაკუთრებული გარემოებები.“ 22 ივლისს გამოქვეყნებული განცხადებიდან ვიგებთ, რომ „ბრალდებულებმა ადვოკატების თანდასწრებით არა მხოლოდ აღიარეს ჩადენილი დანაშაული, არამედ დროულად მიაწოდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტს მნიშვნელოვანი დეტალური ინფორმაცია, როგორიცაა რუსეთის ფედერაციის სპეციალური სამსახურების საქართველოში არსებული საიდუმლო თანამშრომლებისა და მათთან კავშირზე მყოფი პირების ვინაობა, ამ სამსახურების საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული კონკრეტული გეგმები და ამოცანები, ინფორმაციის მიღების, მოპოვების და გადაცემის მეთოდები, და აქამდე არსებული წესები (პრაქტიკა), ასევე მიაწოდეს ინფორმაცია რუსეთის ფედერაციის სპეციალური სამსახურების საფარქვეშ მოქმედი ორგანიზაციების შესახებ.

ფოტორეპორტიორების დაკავების შემდეგ ქართული ჟურნალისტების ნაწილმა სულ სხვა თვალით შეხედა სამართლის კოდექსის 314-ე მუხლს. მაგ. გაზ. „რეზონანსის“ მთავარი რედაქტორი ლაშა ტუღუში ამბობს, რომ 314-ე მუხლის II ნაწილი იმდენად ბუნდოვანია, რომ ამ მუხლით შესაძლებელია ნებისმიერი ჟურნალისტი გასამართლდეს. ექსპერტთა ჯგუფმა უკვე დაასრულა სარჩელზე მუშაობა, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოსგან სისხლის სამართლის კოდექსის ხსენებული მუხლის არაკონსტიტუციურად ცნობას ითხოვს.

რადიო „თავისუფლების“
მასალების მიხედვით

ერთად ვიზრუნოთ მისი სიცოცხლის გადასარჩენად!

17 ივლისს, ღამის საათებში, ზესტაფონში ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა, დაშავებულ მგზავრთაგან ყველაზე მძიმე დგომარეობაშია ოზურგეთელი იური ჩიხლაძე. ის ანსამბლ „ედელვაისის“ და ოზურგეთის სამუსიკო სკოლისთან არსებული ანსამბლ „პირველი სხივის“ ხელმძღვანელია. მას ჩვენი დახმარება სჭირდება. გთხოვთ, გამოიჩინოთ გულისხმიერება და ერთად ვიზრუნოთ მისი სიცოცხლის გადასარჩენად.

მიმღების ბანკი: სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკი“, ბანკის კოდი: BAGAGE22
მიმღების დასახელება: ჩიხლაძე ნინო
მიმღების ანგარიშის ნომერი: GE22BG0000000342443200

კიტა მეგრელაძის ქუჩის მცხოვრებლებმა გზა გადაკეტეს

გასულ პარასკევს, იმ დროს, როდესაც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა მიმდინარეობდა, ქ. ოზურგეთის კიტა მეგრელაძის ქუჩის მცხოვრებლებმა ქუჩა გადაკეტეს. ისინი აპროტესტებდნენ უწყლობას, გზის მოუწესრიგებლობას, გაზიფიკაციის სამუშაოების შეჩერებას.

–ქუჩის ბოლოს კარიერია, ქვისსამტრევი საამქრო მუშაობს. მძიმეწონიანმა მანქანებმა კიდევ უფრო დააზიანეს ისედაც სავალალო მდგომარეობაში მყოფი გზა. სასმელი წყალი არ დაილევა, რა აღარ მოჰყვება წყალს. გაზიფიკაციის სამუშაოები შეაჩერეს. არჩევნების დროს ყველაფრის მოგვარებას შეგვპირდნენ, ოღონდ გვენდევით და ხმა მოგვეცითო. დამთავრდა არჩევნები და დანაპირები დაავიწყდათ – თავიანთ გულისწყრომას გამოხატავდნენ ისინი.

აქციის მონაწილეებთან ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი გია ტაკიძე, საკრებულოს ოპოზიციონერი დეპუტატები თემურ სალუქვაძე და ლელა ნაცვალაძე მივიდნენ.

გია ტაკიძე მათ პრობლემების მოგვარების შესახებ ესაუბრა. ოზურგეთის წყალმომარაგების სერვისცენტრის ხელმძღვანელის იასონ ცინცაძის ინფორმაციით წყლის პრობლემის მოგვარებაზე მუშაობენ და სექტემბერშია დაგეგმილი მისი შესრულება.

ამის შემდეგ აქცია შეწყდა.

რეგიონის წარჩინებულ მოსწავლეებს მედლები გადასცეს

ამჟამად ქვეყნის მასშტაბით წარჩინებულ მოსწავლეთა მედლებით დაჯილდოების პროცესი მიმდინარეობს. შაბათს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ნოდარ სურგულაძემ და გურიის გუბერნატორმა ვალერი ჩიტაიშვილმა „განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, გურიის რეგიონის 52 წარჩინებულ კურსდამთავრებულს ოქროსა და ვერცხლის მედლები გადასცეს.

გვ-2

რამაზ ნიკოლაიშვილმა ბახვის გზის სამუშაოები მოინახულა

როგორც გაზეთ „ალიონის“ წინა ნომერში ვწერდით, დვაბზუ-ბახვის გზის 5 კილომეტრიანი მონაკვეთის რეაბილიტაციის სამუშაოებს შპს „გზამშენი 18“ ასრულებს. ამ სამუშაოებისათვის 1,5 მილიონი ლარია გამოყოფილი.

გასულ პარასკევს გზის მშენებლობა საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრმა რამაზ ნიკოლაიშვილმა მოინახულა.

მასთან ერთად იყვნენ გურიის გუბერნატორი ვალერი ჩიტაიშვილი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ალეკო მამეშვილი, გამგებელი გია ტაკიძე.

რამაზ ნიკოლაიშვილმა ამ პროექტის მნიშვნელობაზე ისაუბრა და დამატებით სოფლის საჯარო სკოლას ფასადის კეტილმოწყობას შეპირდა.

სარეაბილიტაციო სამუშაოები სექტემბრის ბოლოს დასრულდება.

სოფ. მთისპირში ადამიანს თავს დათვი დაესხა



გაზეთი „ალიონი“ ადრეც წერდა სოფ. მთისპირში მგლებისა და დათვების მიერ მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვზე თავდასხმების შესახებ. ნადირმა ამ სოფელში, ვანისქედისა და უკანავას უბნებში მთლიანად გაანადგურა წვრილფეხა პირუტყვი, აქაურებს ათეულობით ფური და ხარი დაუგლიჯა.

22 ივლისს კი თავდასხმა ადამიანზე მოხდა. მთისპირელი, 47 წლის ილია ასლანის ძე მარკოიძე ტყეში ფიჩხის დასამზადებლად იყო წასული. მოულოდნელად იგი დათვს შეეჩეხა. ნადირი მარკოიძეს დაესხა თავს და ფეხი დაუზიანა. მარკოიძემ მოახერხა ნადირის მოგერიება. მხეცისგან მიყენებული მძიმე ტრამვის მიუხედავად, ილია მარკოიძემ ტყეში საათნახევარი იარა, რათა სოფელში ჩამოსულიყო.

სასწრაფო-სამედიცინო ბრიგადამ მას პირველი სამედიცინო დახმარება გაუწია და საავადმყოფოში გადაიყვანა.

საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე

ნინო ნიკოლაიშვილი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე დღის წესრიგით გათვალისწინებული 15 საკითხი განიხილეს. სხდომის უხმაუროდ წარმართვა, დეპუტატ ლელა ნაცვალაძის გამოსვლამ შეცვალა. მან საკრებულოს შეახსენა ასკანის მკვიდრ ფოთოლა ნაცვალაძის უკიდურესად მძიმე მდგომარეობა (მას მეწყერის შედეგად სახლი დაენგრა) და მათგან მოითხოვა განეცხადებინათ, რის გაკეთებას გეგმავდა მუნიციპალიტეტი ამ ადამიანის დასახმარებლად.

ლელა ნაცვალაძე: დღეს ჩემი, როგორც დეპუტატის, მიღების დღეა. ჩემთან მოვიდა სოფ. ასკანის მკვიდრი ფოთოლა ნაცვალაძე, რომლის დამეწყრილი სახლის საკითხი ჯერ კიდევ როდის დააყენა მისი სოფლის დეპუტატმა ლევან ნინიძემ. მას უკვე რამდენი ხანია დახმარებას ჰპირდებიან, მაგრამ ამ დახმარების გამოყენების შესაძლებლობა მას არ გაჩია.

მისმა გამოსვლამ გააღიზიანა დეპუტატი მერაბ მჟავია, რომელმაც ნაცვალაძეს მიმართა, რომ ამ საკითხის განხილვა არ იყო მისი საქმე, მას „ღმერთისგან მოვლენილი მსაჯული“ უწოდა და „შეახსენა“ რომ ჯობდა დაესვენებინა საკრებულო მისი რეპლიკებისაგან.

მერაბ მჟავია: არ არის ლელა ეს შენი გადაწყვეტი, ჯობია დაგვასვენო, დავიღალეთ ამდენი რეპლიკებით.

მჟავიას გამოსვლის გამო ნაცვალაძემ სხდომა დატოვა.

საკრებულოს სხდომაზე წარმოდგენილი ანგარიშის შემდეგ რამდენიმე აიპ-ის მუშაობა დადებითად შეაფასეს.

ბუნებრივი რესურსების სააგენტოში ვაკანტური ადგილებია

მარი კოკოევი

ბუნებრივი რესურსების სააგენტოს გურიის სამსახურში რამდენიმე ვაკანტური ადგილია. ამის შესახებ სააგენტოს ხელმძღვანელმა ნიკოლოზ ნოზაძემ ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა. მისი თქმით, თავისუფალ სამუშაო ადგილებს ტყის მართვის და მონიტორინგის სამმართველოში კონკურსის წესით შერჩეული პირები დაიკავებენ. კონკურსში მონაწილეობის **მსურველთა განცხადებების მიღება 15 ივლისს დაიწყო და თვის ბოლომდე გაგრძელდება.** ნოზაძის თქმით, მსურველებმა უნდა შეავსონ ანკეტები, რომლებიც სამივე რაიონში უკვე დარიგებულია.

ანკეტების შევსების შემდეგ ჩატარდება ტესტირება, შემდეგ კი გასაუბრება. ამ გზით შერჩეული პირები გაივლიან ტრენინგს პოლიციეს აკადემიაში და დაიკავებენ ვაკანტურ სამუშაო ადგილებს ბუნებრივი რესურსების სააგენტოს გურიის სამსახურში.

ოზურგეთელი ახალგაზრდები „მსოფლიო არდადეგებზე

მარი კოკოევი

22 ივლისს ოზურგეთელი ახალგაზრდები „მსოფლიო არდადეგებზე“ მიიწვიეს. ღონისძიება კინოთეატრ „ოზურგეთის“ მიმდებარე ტერიტორიაზე „ჭადრების ბაღში“ დღის 3 საათზე დაიწყო და გვიან ღამემდე გაგრძელდა. დღე საკმაოდ საინტერესო და მხიარული გამოდგა. ჩატარდა შეჯიბრებები სპორტის 7 სახეობაში. სამხატვრო სკოლის მოსწავლეებმა მსურველები მოხატეს. იყო დიჯეიც, რომელიც ღონისძიებას მუსიკალურად აფორმებდა. კულმინაცია კი ღამის ცაში ფეერადი გასაბერი ბურთების გაშვება იყო.

ღონიძიების ორგანიზატორი ახალგაზრდული კავშირი „ევროკლუბი“ იყო. მხარდამჭერები კი არასამთავრობო ორგანიზაცია „სტუდენტურ-ახალგაზრდული სათათბირო,“ სამხატვრო სკოლა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტი.

რეგიონის წარჩინებულ მოსწავლეებს მედლები გადასცეს

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ნოდარ სურგულაძემ თქვა, რომ უკვე მესამე წელია სამინისტრო პრეზიდენტის ინიციატივით „წარჩინებულ მოსწავლეთა მედლების“ ქვეპროგრამას ახორციელებს, რომლის ფარგლებში 877 ოქროს და 1122 ვერცხლის მედალი გაიცა. მედალოსან მოსწავლეთა შერჩევის კრიტერიუმი „ეროვნული სასწავლო გეგმით“ რეგულირდება. წარჩინებული სკოლადადამთავრებულებისათვის სახელობითი ოქროსა და ვერცხლის მედლები დამზადდა. სასიხარულოა, რომ რეგიონის კურსდამთავრებულთა შორის 22 ოქროს და 30 ვერცხლის მედალოსანია. რეგიონის ყველა სკოლის მოსწავლემ წარმატებით გაართვა თავი საატესტაციო გამოცდებს, მათ შორის რამდენიმე მათგანი შედეგების რეიტინგული სიის პირველ ასეულშია. რეგიონის აბიტურიენტთა 70 პროცენტმა უნარების შედეგების მიხედვით მაღალი შეფასება დაიმსახურა.

წელს უმაღლეს სასწავლებლები 36 ათას სტუდენტს მიიღებს. აქედან 10 ათასს სრული, ან ნაწილობრივი დაფინანსება ექნება.

ალეკო მამეშვილი, *მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე:*– ვულოცავ დღევანდელ დღეს ყველა ბავშვს. ეს მათ მრავალწლიანი შრომის შედეგად მიაღწიეს. ვუსურვებ წარმატებებს, მრავალი ჯილდო მიეღოთ მომავალში.

გია ტაკიძე, *მუნიციპალიტეტის გამგებელი:* –ძალიან ლამაზი დღე იყო. დარწმუნებული ვარ ეს ბავშვები კიდევ ბევრჯერ გვასახელებენ.

მაია თავართქილაძე, *ქ. ოზურგეთის №1 საჯარო სკოლის დირექტორი:* –ჩვენ სკოლას რეგიონში საუკეთესო შედეგი აქვს. გვყავს 6 ოქროსმედალოსანი და 4–ვერცხლის. ძალიან ამაყი ვარ, ძალიან ბედნიერი ვარ. ეროვნული გამოცდების პირველი შედეგებითაც კმაყოფილი ვარ. შეიძლება ითქვას, რომ გაამართლა ამ ბავშვებმა, ზოგად უნარებში მაღალი ქულები აქვთ. მინდა წარმატებები ვუსურვო მათ.

გიორგი ბოლქვაძე, *ქ. ოზურგეთის №2 საჯარო სკოლის კურსდამთავრებული, ოქროსმედალოსანი:* – ბევრი შრომა დამჭირდა მიზნის მისაღწევად. თავდაუზოგავ შრომასთან ერთად გვერდით მედგა ოჯახი, სკოლა, მეგობრები. ძნელი იყო მიზნის მიღწევა, მაგრამ ეროვნული გამოცდები სამართლის განხრით ჩავაბარე. კმაყოფილი ვარ შედეგებით.

ხატია ჭანიშვილი, *ქ. ოზურგეთის №1 საჯარო სკოლის კურსდამთავრებული, ოქროსმედალოსანი:* მე ლიხაურელი ვარ, ამჟამად ოზურგეთში ვცხოვრობ. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ გავხდი ოქროს მედალოსანი. ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს სკოლას, ჩემს მასწავლებლებს, დირექტორს, განათლების სამინისტროს, ყველას, ვინც წვლილი შეიტანა იმაში, რომ მე დღეს ასეთი ბედნიერი ვარ. ეროვნული გამოცდების შედეგებიდან ჯერ-ჯერობით ის ვიცი, რომ ზოგად უნარებში 61 ქულა მივიღე, რაც საკმაოდ კარგი შედეგია.

თემურ რევიშვილი, *მშობელი:* –ჩემმა შვილმა გიორგი რევიშვილმა ვერცხლის მედალზე დაამთავრა ქ. ოზურგეთის №5 (ანასეულის) საჯარო სკოლა. მინდა ყველა მშობელს მივულოცო მათი შვილების წარმატებები. მიხარია, რომ კარგი თაობა მოდის.

ოლიკო სირაძე, *მშობელი:*– ჩემმა შვილმა დემეტრე ხარაიშვილმა ოქროს მედალზე დაამთავრა ქ. ოზურგეთის №4 საჯარო სკოლა. ეროვნულ გამოცდებზე გურიის მასტაბით ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს ზოგად უნარებში–71 ქულა. ჩემთვის არა მარტო დიდი სიხარული იყო ის, რომ ოქროს მედალი მიიღო, არამედ ისიც, რომ ეს მედალი მან გაამართლა. მე მადლობას ვუხდი №4 სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს, დირექტორს იმ დიდი შრომისათვის, თანადგომისათვის, რაც მათ მთელი 12 წლის განმავლობაში გასწიეს ჩემი შვილის მიმართ.

საზაფხულო ბანაკმა ფუნქციონირება დაიწყო

მარი კოკოევი

ოზურგეთის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლმა (დირექტორი მაია ნიკოლაიშვილი) მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით ოზურგეთში საზაფხულო ბანაკი გახსნა, რომელიც უკვე 20 დღეა წარმატებით ფუნქციონირებს. ბანაკი №3 ბაგა-ბაღის ბაზაზე ჩამოყალიბდა სახელწოდებით „ფორპოსტი,“ რომელიც მოწინავეს, პირველს ნიშნავს. „ფორპოსტის“ წევრები ოზურგეთის სხვადასხვა უბანში მცხოვრები ბავშვები, ასევე ჩამოსული დამსვენებლები არიან. ბანაკში ბავშვები დრის 12 საათიდან 16 საათამდე იმყოფებიან და ეუფლებიან სახვით ხელოვნებას, იღებენ მუსიკალურ განათლებას, დგამენ თეატრალურ ნომრებს, იყვნენ სამხატვრო სკოლაში, თოჯინების თეატრში, ჩოგბურთის კორტებზე, მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

გასული კვირის სამშაბათს ბანაკში გაწევრიანებულმა ბავშვებმა ღონისძიება მოაწყვეს. თავდაპირველად №3 ბაღის ეზო თემის შესაბამისად მოხატეს. თემა კი მზე, ზაფხული და არდადეგები იყო. ჟიურიმ საუკეთესო ნახატიც გამოავლინა. ხატვის კონკურის შემდეგ კონცერტის ჯერი დადგა. ბავშვემა წაიკითხეს ლექსები, (მათ შორის საკუთარიც) შეასრულეს სიმღერები, ცეკვები.

ღონისძიებაზე დამსწრე საკრებულოს თავმჯდომარე ალეკო მამეშვილმა და კომისიის თავმჯდომარე ირინა საჯაიამ კმაყოფილება გამოთქვეს ბავშვთა საზაფხულო ბანაკის მუშაობის შესახებ.

დაზუსტება

გაზეთ „ალიონის“ 18 ივლისის ნომერში დაიბეჭდა სტატია „საზაფხულო სკოლა“, რომლის ავტორია ოზურგეთის თეატრის მსახიობი ბელა კიკვაძე.

კვირიკეთის წმინდა კვირიკეს და ივლიტას სახელობის ეკლესია

სოფელი კვირიკეთი, ოზურგეთიდან ჩრდილო აღმოსავლეთით, ორ კილომეტრზე მდებარეობს. სოფელს ამშვენებდა და დღესაც ამშვენებს წმინდა კვირიკესა და ივლიტას სახელობის ეკლესია დღეს უკვე აღდგენილი და გაბრწყინებული. ეკლესია დარბაზული ტიპისაა. როგორც ირკვევა, მისი პირვანდელი საალმშენებლო ფენა გაცილებით გვიანდელია და შემდეგ მასზედ დააშენეს არსებული ეკლესია.

დედა-შვილი კვირიკე და ივლიტა წმინდანები გახდნენ.

დოკლეტიანეს კეისრობის დროს, როცა ქრისტიანები სასტიკად იდევნებოდნენ, ივლიტა და მისი მცირეწლოვანი შვილი კვირიკე მოწამეობრივი სიკვდილით აღესრულნენ. კვირიკე და ივლიტა ითვლებიან ბავშვების მფარველად.

ეკლესია სოფლის ცენტრში დგას. იგი გასული საუკუნის 20 -იან წლებში დაანგრიეს ბოლშევიკებმა. ცნობილია ამ ეკლესიის რამდენიმე მოძღვრის ვინაობა. ესენია მღვდელი ანტონი, დეკანოზი სვიმონ. ეკლესიის ბოლო მოძღვრები იყვნენ მამა-შვილი ივანე და გიორგი ერქომაიშვილები.

რვა ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ეკლესია იდგა სახურავ ჩამონგრეული და სუროებით დაფარული.

ეკლესიის აღდგენის საქმე ითავა სოფ. კვირიკეთის მკვიდრმა ჯემალ კეჭაყმაძემ. 1990 წლის 21 მარტიდან, სოფლის ახალგაზრდობასთან ერთად, იგი შეუდგა ეკლესიის აღდგენით სამუშაოებს. მისი ჩანაფიქრი იყო აღედგინა ეკლესია და იგი გამხდარიყო მოქმედი. ამ მიზნით ბ-ნი ჯემალი ჩადის ბათუმში, ხვდება ბათუმ–შემოქმედელ მიტროპოლიტ მეუფე კონსტანტინეს (მელიქაძე), იღებს რჩევა-დარიგებებს, ბათუმშივე ხვდება მამა მათეს და სთხოვს კვირიკეთის აღდგენილ ეკლესიაში გადმოსვლას.

1991 წლის 28 ივლისს, მიტროპოლიტ კონსტანტინეს კურთხევით გაიხსნა ტაძარი. ტაძრის წინამძღვრად დაინიშნა მღვდელი მათე (გორდელაძე).

კვირიკეთის აღდგენილ ეკლესიაში ჩატარდა პირველი წირვა, რომელსაც უამრავი ადამიანი დაესწრო. ტაძარი სტუმრებს ვერ იტევდა. მეც ერთი იმათგანი ვიყავი და ამ დღიდან მოყოლებული ამ ეკლესიის მრევლი ვარ.

20 წელია მამა მათემ, მრევლზე დღენიადაგ ზრუნვითა და მუხლჩაუხრელი შრომით, ბევრი რამ გააკეთა ეკლესიისათვის: უპირველესად მისი პროექტით მოხდა ეკლესიის გადაკეთება და გამშვენიერება. ეკლესია აღდგა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ტრადიციების მიხედვით. ცალკე აშენდა სამრეკლო სატრაპეზოსთან ერთად. გამოჩნდა ბევრი მეცენატი და ქველმოქმედი. ეკლესიის მშენებლობასა და მის განახლებაში მნიშვნელოვანი წვლილი გაიღეს თამაზ დუმბაძემ, ავთანდილ ღლონტმა და ბევრმა სხვამ. ეკლესია მოიხატა ამ ეკლესიის მრევლის ირაკლი სირაძის შემოწირულობით. ეკლესიის საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას იღებს მრევლი, რომლის რაოდენობა დღეს 250-ზე მეტია და იგი ყოველდღე იზრდება.

2004 წლიდან დეკანოზ მათე გორდელაძის ინიციატივით, კვირიკეთის ეკლესიასთან შეიქმნა საზოგადოებრივი ორგანიზაცია „მოწყალე სამარიტელი.“ მრევლი და საზოგადოება შეჭირვებულ მოსახლეობასინვალიდებს, მოხუცებს, უპოვრებს ეხმარება სულიერად, ფიზიკურად, ფინანსურად, სამოსით. კვირიკეთის ეკლესიაში ჩამოყალიბდნენ მამა მათეს სულიერი შვილები. დღეს ისინი მღვდლებია: მიქაელი (ტუღუში), იოსები (ღლონტი), ბესარიონი (ლომინეიშვილი), იოსები (ნაკაიძე); მონაზვნები: დედა ქრისტინე (ხაბულიანი), ელისაბედი, მარიამი (ქავთარაძე, ნინო (ლომთაძე), მორჩილი ნანა გაბუნია და სხვები.

2001 წელს მამა მათეს მიენიჭა დეკანოზის წოდება. ახლა კი მისი სამღვდელო წოდება გახლავთ მიტრიანი დეკანოზი გაბრწყინებული ჯვრით. იგი დაარსებიდან ოზურგეთის

სამრევლო სკოლის გამორჩეული და წარმატებული დირექტორია.

მამა მათეს და მის მრევლს ვულოცავ კვირიკობის წმინდა დღესასწაულს, ვუსურვებ ჯანმრთელობას, მრავალჟამიერ სიცოცხლეს ღვთისა და ერის სადიდებლად.

მანანა ლომაძე,

კვირიკეთის ეკლესიის მრევლი.

„არავის არა ჰყავს ქვეყნად იმდენი მოშურნე, როგორც სიმაღლისა და სიმართლის მოყვარულს“

ნუგზარ ასათიანი



ეს სიტყვები მე-20 საუკუნის ერთ-ერთ საუკეთესო ქართველ მწერალს ოტია იოსელიანს ეკუთვნის. იგი რამდენიმე დღის წინ მშობლიურმა ქართულმა მიწამ მიიბარა.

ოტია იოსელიანი თავისი ცხოვრებით, შემოქმედებით შორს იდგა ისეთი მწერლებიდან, რომლებსაც თავიანთი შემოქმედების ასაღიარებლად მეხოტბეობის გზას ადგნენ. ოტია იოსელიანი ყოველთვის იყო პირდაპირი და მართალი კაცი. არც სრა-სასახლეები უყვარდა და არც თანამდებობები. მშობლიურ სოფელ გვიშტიბში გაატარა მან ცხოვრება და იქვე დაიკრძალა.

ოტია იოსელიანის პროვინებას ყოველთვის ვეთაყვანებოდით. ამ ათიოდე წლის წინ მუსიკოსმა ბადრი ინგოროყვამ „გაგვათამამა“ და ადრე გაზაფხულის ერთ ლამაზ დღეს ბატონ ოტიას სახლში ვესტუმრეთ. იდეის ავტორისა და ამ სტრიქონების ავტორის გარდა „დელეგაციაში“ იყვნენ, ტელეოპერატორი რევაზ ცქვიტინიძე, ექიმი გია თავბერიძე, რეჟისორი ავთანდილ სირბილაშვილი.

ეს იყო საყვარელ მწერალთან მისი ნიჭის თაყვანისმცემალთა შეხვედრა. ერთად პური გავტეხეთ, ქვეყნის ჭირ-ვარამზე ვისაუბრეთ, წინაპართა ნაკვალევს მოვეფერეთ და სამომავლო ურთიერთობებზე შევთანხმდით, –ბატონი ოტია ოზურგეთში მოვიპატიჟეთ.

სახელოვანი მწერალი საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის იმერეთის დეპარტამენტის წყალტუბოს განყოფილები უფროსი გახლდათ. როდესაც ამ სამსახურის გურიის სამმართველო ერთდროულ გაზეთს ამზადებდა ქართული ენის პრობლემებზე, ბატონმა ოტიამ უყოყმანოდ გამოგვიწოდა ხელი და საუკეთესო ესსე „ენა–ერის სული“ შემოგვთავაზა დასაბეჭდად.

„–ენა ლოცვაა, ღმერთები, რადაც გაგაჩინეს, იმ ენაზე გისმენენ, შენი ენა უფლისაცაა, რა კი შენი ენით გპასუხობს და შენი ენით გესაუბრება.

ენა სამყაროში ბუდობს იმ დიდი საიდუმლოებით, რომლებიც ჯერ კიდევ სიტყვისთვის ვერ გაგინდვია და ცდილობ–„დოვენ, დოვენ, დოვლი...“(გალაკტიონი), ან ენაზე გადგას, სიტყვებში დაუტევარი, ჯერ კიდევ გასაგის-გაუსაგისი, როგორც გაუხარჯავ განძს, სამომავლოდ, საშვილიშვილოდ რომ ატარებს ხანგრძლივ ფეხძიმეობასავით, რომელიც თაობებში უნდა იშვას. ენა ის ფიქრია და ოცნებაცაა, რაც ვერასდროს გამოგითქვამს კი არა, ბოლომდე შენი თავისტვის ვერ გაგიმხელია. .“(გაზ. „დედაო ენავ!“ ივნისი, 2002 წ.)

ბატონი ოტია 2002 წლის ივნისში ესტუმრა გურიას. გზად მომავალი გაკვირვებას გამოთქვამდა უამრავი გამოკეტილი სახლისა და დაუმუშავებელი ეზო-კარმიდამოების გამო. ნოდარ დუმბაძის სახლ-მუზეუმში შედგა პირველი შეხვედრა. შემდეგ ბახმაროსკენ გავაგრძელეთ გზა. ბახმაროს მისადგომებთან 2050 მეტრი სიმაღლეზე ხის ჯვართან მივიდა, სვანური ქუდი მოიხადა და პირჯვარი გადაიწერა. იმდენი მოფუსფუსე ადამიანი დაინახა მთაში, ნოღაჩოხატაურის გზაზე ნანახი აღარ შეუხსენებია.

მეორე დღეს ოზურგეთის სახელმწიფო თეატრში ოზურგეთის საზოგადოება შეხვდა საყვარელ მწერალს. ეს იყო მწერლის პირდაპირი დიალოგი მკითხველთან –საინტერესო და დასამახსოვრებელი...

მწერლის ურთიერთობა ოზურგეთლებთან გრძელდებოდა. კვლავ ჩამოვიდა ოზურგეთში.

რაც მთავარი იყო, ჩვენ ახლოდან თუ შორიდან ყოველთვის გვესმოდა მისი მართალი სიტყვა...

* * *

გელათის საკათედრო ტაძარში საყვარელ მწერალთან გამოსამშვიდობებლად ოზურგეთიდანაც ჩავიდა დელეგაცია., ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატის, მერაბ მჟავიას თაოსნობით. ანსამბლმა „შვიდკაცამ“ გურული საგალობელი შეასრულა. სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასი საპატიო ყარაულში უდგა მამულისათვის დამაშვრალ მწერალს და მანაც ხალხის გულში სამუდამოდ დაიდო ბინა.

ოტია იოსელიანი წყალტუბოს რაიონის მშობლიურ სოფ. გვიშტიბში, საკუთარ ეზოში

ანონსი

„ნაფტალინი“ ოზურგეთის თეატრში

ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრი 29 ივლისს, 18 საათზე პრემიერაზე გიწვევთ.

რეჟისორი შოთა ბაბილოძე მაყურებელს ლაშა ბუღაძის „ნაფტალინს“ შეთავაზებს.

პარასკევამდე ანუ პრემიერამდე თეატრში ყოველდღიურად მიმდინარეობს რეპეტიციები.

რეჟისორის სიტყვებით სპექტაკლში არის კომედიაც, ტრაგედიაც, მისტიკა..

შოთა ბაბილოძე: „ეს არის ჩემთვის პირველი შეხება თანამედროვე ავტორის ნაწარმოებთან. ლაშა ბუღაძე არის მოქმედი დრამატურგი, მისი საინტერესო პიესები წარმატებით იდგმება საქართველოს სხვადასხვა თეატრში. არ ვიცი როგორი იქნება ჩვენი „ნაფტალინი“, ვცდილობთ მაყურებელს საინტრესო და დამაფიქრებელი სანახაობა შევთავაზოთ. არის დასადგმელად რთული პიესა, მოქმედება ხდება ჯოჯოხეთის კარიბჭესთან, გადასვლებია მთავარი გმირის წარსულში, საჭიროა უამრავი ეფექტი, რაც მეტ ტექნიკურ უზრუნველყოფას მოითხოვდა, თეატრის წამყვან მსახიობებთან ერთად სპექტაკლში დაკავებული არიან მოსწავლეებიც, რომლებიც ანგელოზებს განასახიერებენ“.

სპექტაკლის თემაა გარდაცვლილი პედაგოგის, ხანდაზმული ქალბატონის პირველი შეხვედრები საიქიოში და როგორც რელური ცხოვრების, ასევე საიქიოს ტრაგიკომიკური სიტუაციები.

ნახეთ!

ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

სოფლის სახელოვანი ადამიანები

ლიდია მეგრელიძე

ცნობილი პოეტი, საბავშვო მწერალი და საზოგადო მოღვაწე ლიდია მეგრელიძე სოფ. ბაილეთელი იყო. იგი აქ 1883 წელს დაიბადა. როცა წამოზრდილა, მისი ოჯახი საცხოვრებლად ოზურგეთში გადმოსულა, სადაც გაუცნია და თავისი ბედი დაუკავშირებია შემდეგში ცნობილი მომღერლის, დიდი ლოტბარის აქვსენტი მეგრელიძისათვის. ოზურგეთიდან ისინი საცხოვრებლად სოფ. შრომაში გადასულან, სადაც მათ ოჯახში თავს იყრიდნენ ცნობილი მსახიობები ალექსანდრე წუწუნავა, ევტროფი თალაკვაძე, სამსონ ხურციძე, ვიქტორ ნინიძე, ცეცილია წუწუნავა, სხვები, რომლებმაც ლიდია თეატრალურ საქმიანობაში ჩააბეს. იგი მათთან ერთად მოგზაურობდა გურიის სოფლებში, დგამდნენ საღამო-წარმოდგენებს, მართავდნენ ლიტერატურულ საღამოებს. ცნობილია მისი მთავარი როლი, ნინო—ყაზგეგის „არსენაში."

მიუხედავად იმისა, რომ იგი აქტიურად მუშაობდა, როგორც მსახიობი, განუმეორებელი ხიბლით, ხმის ლამაზი ტემპრით მღეროდა მეუღლესთან, აქვსენტი მეგრელაძესთან ერთად ანსამბლებში, მისი უდიდესი გატაცება მაინც პოეზია იყო, რომელშიც მან პირველად სოფ. ბაილეთში აიდგა ფეხი და შექმნა პირველი ლექსიც:

„აღტაცებული გონებით
გავხედე მღელვარ სუფსასა,
შორს გამიტაცა ოცნებამ,
გული მოსთქვამდა სულ სხვასა.
ნელა მოღელავს ეს წყალი,
ხან მღვრიე, ხან ელვარეა,
თითქოს დაღლილა მგზავრობით,
დუდუნებს მგლოვიარეა
და ჩემი გულიც მასავით
ისლებრივ დახურულია,
მსურს მას შევწირო
სიცოცხლე,
ვინც ქვეყნად დაჩაგრულია."

ლიდიამ მრავალი ლექსი მიუძღვნა მშობლიურ გურიას. აი, ერთი მათგანი:

„ჩემი მიწის მობიბინე ოქროს ყანავ,
შენს თაველში ჩემი სიყრმის გულია,
შენს მდელოზე მიმღეროდა დედა ნანას,
ჩემო კარგო, საყვარელო გურია.
მე მოვედი გაზაფხულის ყვავილებში,
შენ თვალები ფორთოხლებით ამივსე,
ციტრუსების ხეივანში გამითენე,
გამახარე, გული ამიმაღლე."

ლიდია არაერთი წიგნის ავტორია. მკითხველის დიდ სიყვარულს იმსახურებს მისი ისტორიული რომანი „მშობლიური ცის ქვეშ" და სხვა.

ლიდია არ ივიწყებდა მის მშობლიურ სოფელ ბაილეთს, ახლო მიმოწერა ჰქონდა ზოგიერთ მათგანთან. აი, რას სწერდა იგი ერთ-ერთ წერილში მამაჩემს:

„ბატონო ბიჭიკო. მივიღე შენი წერილი, რამაც ძალიან გამახარა და გამაგებინა თქვენი ამბავი. გპირდებით, რომ უახლოეს ხანში ჩამოვალ თქვენთან და გავიხარებ. თქვენი ლიდია."

სამწუხაროდ, მან ეს პირობა ვერ შეასრულა, ადრე ხანში, 1968 წელს გარდაიცვალა. დაკრძალულია ქ. თბილისში, ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

* * *

ლიდიას უმცროსი და-ძმა იყვნენ თამარი და რუბენი.

თამარი იძულების წესით ცოლად გაჰყოლია ინგუშ ოფიცერს ხადის დოსხოევს და იმავე წელს ისინი საცხოვრებლად გადასულან ქმრის მშობლიურ კუთხეში—ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკის ნაზრახოვკის რაიონის სოფ. ხასირკორტში. 1932 წლიდან მას ინგუშეთის საოლქო საბჭოს გაერთიანება „ბავშვთა მეგობრის" თავმჯდომარედ უმუშავია, ხოლო 1937 წლიდან 1952 წლამდე, პარტიის ნაზრახოვსკის რაიკომის მდივნად. გარდაცვალებამდე ცხოვრობდა გროზნოში და იქვეა დაკრძალული.

რუბენს ეკონომიკური განათლება ჰქონდა მიღებული და მრავალი წელი მუშაობდა თავისი სპეციალობით. იყო საქართველოს სამრეწველო ბანკის განყოფილების უფროსი. მინიჭებული ჰქონდა „რესპუბლიკის დამსახურებული ეკონომისტის"წოდება. დაჯილდოებული იყო „საპატიო ნიშნის" ორდენით. ახლო ურთიერთობა ჰქონდა ჩვენს სოფელთან. 1967 წელს დაესწრო სოფ. ბაილეთში მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გახსნას. გარდაიცვალა 1971 წელს. დაკრძალულია თბილისში.

„ერის სულიერება ჩვენი, უბრალო ხალხის მხრებზეა"

ჩვენო მკითხველო, დარწმუნებული ვართ, გვაპატიებთ, თუ გულწრფელი სიყვარულისთვის მადლობას ყოველთვის ვერ გიხდით, მაგრამ გჯეროდეთ, ძალზე გვახარებს, რომ გველით და გიყვარვართ. ეს არის მთავარი — ჩვენი თანაზიარობა სულიერი ღირებულებების, სიცოცხლის, ქვეყნის სიცოცხლის საწინდარია.

ძალიან გვიხარია, როცა ერის სულიერ ღირებულებაზე წერთ. თქვენთვის, ჟურნალისტებისთვის გაზეთის ყოველ ნომერში ალბათ მხოლოდ გარკვეული დროით ცოცხლობს და მერე ახლის მზადებას იწყებთ, მკითხველს კი მათი წერილები ხშირად გამუდმებით თან სდევს. ერთხელ თქვენს გაზეთში ერთი კეთილშობილი ქალბატონი წერდა,— კარგი იქნებოდა, თითოეულ თეატრთან დიდ თეატრალურ მოღვაწეთა მემორიალი შექმნილიყო. ეს წერილი ჩამრჩა გულში და მას შემდეგ მის პასუხს გულით დავატარებდი. ახლა დავწერე და გიგზავნით: პატივცემულო ქალბატონო, იცოდეთ, რომ ერის სულიერება თქვენნაირების და ჩვენნაირების — უბრალო ხალხის მხრებზეა, ჩვენ უნდა შევინახოთ ეს ქვეყანა და არა მთავრობებმა.

თქვენი იდეაც საერო იყო და ამიტომაც თქვენგან დამოუკიდებლად ჩვენ, ოზურგეთლებმა, რამდენიმე წლის წინ ჩვენს უძველეს თეატრთან, პარკში, აღვმართეთ მემორიალი კულტურის იმ დიდებული წარმომადგენლების პატივსაცემად, რომლებმაც, რომლებმაც უდიდესი ამაგი დასდეს ქართულ ეროვნულ თეატრალურ ხელოვნებას. ესენი არიან: სესილია თაყაიშვილი, სიკო დოლიძე, ცეცილია და ალექსანდრე წუწუნავები, სანდრო ჟორჟოლიანი, ვიქტორ ნინიძე გიგოლა თალაკვაძე, ქეთევან ბოჭორიშვილი, ვასო ყუშიტაშვილი, გიორგი როსება, ლადო მალაზონია, გიორგი სალუქვაძე, ლამარა თურმანიძე, რომან ლომინაძე, მიხეილ შავიშვილი და სხვა გამოჩენილი წუთისოფლიდან მარადისობაში გადასული მოღვაწენი... ყველა ისინი ჩვენს თეატრშიც მოღვაწეობდნენ. ახლა მემორიალს ამშვენებს ღამით განათებული დიდი ჯვარი.

ამ დიდებული საქმის მოქმედი ოზურგეთელი ბახუტა ოთხმეზური გახლავთ.

მანამდე, სანამ დიდებულ წინაპართა ხსოვნის უნარი არ დაგვეკარგება ქართველებს, არც საქართველო დაიკარგება.

ულრმესი პატივისცემით,
არსენ კეჭაყმაძე,
საქართველოს ეკოლოგიურ
მეცნიერებათა წევრ-კორესპონდენტი,
ასოცირებული პროფესორი

გაზეთი „კვირის პალიტრა" 10 ივლისი, 2011 წ.

კოტე მამულაიშვილი

სოფელში დიდი პატივისცემით იგონებენ მის სახელს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ რამდენიმე წელი სოფ. ბაილეთში მუშაობდა სკოლაში დირექტორის მოადგილედ და ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებლად. იგი საოცარ გავლენას ახდენდა თავის აღსაზრდელებზე, ეხმარებოდა შეჭირვებულ ოჯახებს.

დაიწყო დიდი სამამულო ომი. იგი ფრონტზე მოხალისედ წავიდა. რამდენჯერმე დაიჭრა, მაგრამ გამოჯანმრთელებისთანავე ბრძოლის ველს უბრუნდებოდა.

ომიდან ჯილდოებით დაბრუნდა. ამჯერად მან სპეციალობა შეიცვალა და უნივერსიტეტის გეოლოგია-მინერალოგიის ფაკულტეტი დაამთავრა. თბილისში დარჩა, დაოჯახდა და მუშაობაც იქვე დაიწყო. მრავალი წელი მოღვაწეობდა გეოლოგიის სამსახურში, ჯერ გეოლოგიური ჯგუფის უფროსად, შემდეგ გეოლოგიის სამმართველოს უფროსის მოადგილედ. იყო მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატი. მინიჭებული ჰქონდა „გეოლოგიის სამსახურის წარჩინებული მუშაკის" წოდება.

იგი 20 წლის წინათ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. დაკრძალულია კუკიის სასაფლაოზე. დარჩა ერთი ქალიშვილი, რომელიც დაოჯახებულია და ცხოვრობს ქ. თბილისში.

გერმანე და ელიასე ზაქარიაძეები

მათი ცხოვრება და მოღვაწეობა თითქმის არ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. ორთავენი ბაილეთლები იყვნენ. აქვე მიიღეს საშუალო განათლება. თითქმის ერთად დაამთავრეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ღვაწლმოსილი მეცნიერები გახდნენ.

ბატონი გერმანე—ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, კათედრის გამგე, ლექციებს კითხულობდა საქართველოს პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში;

ბატონი ილია—ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ლექციებს კითხულობდა სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ორთავენი გარდაცვლილნი არიან. დარჩნენ შვილები და შვილიშვილები.

* * *

ზემოთდასახელებული ყველა პიროვნების ფოტოსურათი და მოღვაწეობის ამსახველი მასალები განთავსებული იყო სოფლის მუზეუმში, რომელიც სამწუხაროდ, ცნობილი მოვლენების დროს განადგურდა.

სოფელი არ ივიწყებს მათ, რომელთა ცხოვრება და მოღვაწეობა კარგი მაგალითია ჩვენი მომავალი თაობებისათვის.

სამკურნალო ცენტრ „ძლევაიში" შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი სახის მომსახურება:

1. ექიმის კონსულტაცია (კარდიოლოგი, თერაპევტი);
2. ციფრული რენტგენი;
3. თავის ტვინის და ყბა-სხის ტომოგრაფიული გამოკვლევა (სინოგრაფია);
4. ექოსკოპია;
5. კლინიკური (სისხლის და შარდის საერთო) და ბიოქიმიური (შაქარი, პროთრომბინი, ქოლესტერინი, კოაგულოგრამა, რევმატიული სინჯები) ანალიზები;
6. სტომატოლოგიური კაბინეტი (ტურბო ბორ-მანქანა);
7. ინტრავენური ინექციები, სამკურნალო მასაჟი და ფიზკულტურა;
8. რეანიმობილის მომსახურება სხვადასხვა ქალაქში შეღავათიან ფასში;
9. ჰომეოპატიური წამლებით მკურნალობა (არაქიმიური, მცენარეული წამლები გერმანული საფთიაქო კომპანია „HEEL"-ისაგან.

ზემოთაღნიშნული მომსახურება წარმოებს ბინაზეც (ექოსკოპია, კარდიოგრამა, ლაბორატორიული მომსახურება). პაციენტებისათვის მისაღები, შეღავათიანი ფასები.

ტელ: 790 7527 87, 599 177527

მესაჭიროება

სამედიცინო საქმის მცოდნე დამხმარე პიროვნება 30-დან 40 წლის ასაკამდე.
დაგვიკავშირდით დღის მეორე ნახევარში.
ტელ: (595) 53 41 65.

იყიდება

5 თვალი ხის სახლი (მასზე შეიძლება მანსარდის მოწყობაც).
დაგვიკავშრდით
ტელ. (593) 13 91 01.

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 858 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru

კომპიუტერული უზრუნველყოფა გია გოგოლაძე